



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 22

2017 წლის 23 ივნისი

ქ. ბათუმი

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეების თანამდებობათა დასახელებებისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 29 ოქტომბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობის შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელ პოზიციად განსაზღვრის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 19 ივნისის №62 ბრძანებისა და „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობად განსაზღვრის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 19 ივნისის №63 ბრძანების შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეების თანამდებობათა დასახელებისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 29 ოქტომბრის №20 დადგენილებაში ([www.matsne.ge](http://www.matsne.ge) 05/11/2012წ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 0100320020.35.133.016069) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 01 ივლისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე